ანალიტიკური წერა (AW2)

C ტიპის ტესტი

ორი დავალება

დრო – 1 სთ 10 წთ

დავალება I – მსჯელობის ანალიზი

ქალაქის ერთ-ერთ უბანში პოპულარობით სარგებლობდა ბიბლიოთეკა. ის გამოირჩეოდა წიგნების მდიდარი ფონდით და მყუდრო გარემოთი, რომელსაც ქმნიდა ძველებური ავეჯი და ხის სტელაჟები. ერთ-ერთ დარბაზში სისტემატურად იმართებოდა შეხვედრები საინტერესო ადამიანებთან.

პოპულარობის გაზრდის მიზნით ადმინისტრაციამ ბიბლიოთეკა განაახლა. გაარემონტეს სამკითხველო დარბაზები, ძველებური ავეჯი შეცვალეს ახლით. იმ სამკითხველო დარბაზში, სადაც მანამდე ტარდებოდა შეხვედრები ცნობილ ადამიანებთან, დადგეს კომპიუტერები; შესაბამისად, განახლებულ ბიბლიოთეკაში მომხმარებელს შეუძლია სასურველი ინფორმაციის მიღება არა მარტო წიგნებიდან, არამედ ელექტრონული საშუალებებითაც.

განახლებაზე გაწეული ხარჯის გამო ბიბლიოთეკაში ყველა სახის მომსახურება ფასიანი გახდა, ასევე, სამუშაო საათები 11^{00}-დან 19^{00} საათამდე შეიზღუდა.

ერთი თვის შემდეგ გაირკვა, რომ ბიბლიოთეკაში მკითხველთა რიცხვმა კი არ იმატა, არამედ იკლო.

განიხილეთ ის შესაძლო მიზეზები, რის გამოც ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მოლოდინი არ გაამართლა.

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.

დავალება II – გადაწყვეტილების დასაბუთება

დავალებაში მოცემულია გადასაწყვეტი საკითხი, მისი გადაჭრის ორი შესაძლო გზა და ორი პირობა. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთი შესაძლებლობის სასარგებლოდ მოცემული პირობების გათვალისწინებით. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევნის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ახალგაზრდა მწერალი გეგმავს ახალი რომანის გამოცემას. მან ორი გამომცემლობიდან უნდა შეარჩიოს ერთ-ერთი:

(1) ერთ გამომცემლობას აქვს მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება და კარგი რეპუტაცია. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ავტორებთან მუშაობას, აძლევს რჩევებს და სთხოვს გარკვეული სტანდარტების დაცვას. გამომცემლობა ასევე უზრუნველყოფს წარმატებული წიგნების ლიტერატურულ კონკურსებზე წარდგენას და სხვადასხვა ენაზე თარგმნას. მართალია, ის მცირე ჰონორარს უხდის ახალგაზრდა მწერლებს, მაგრამ წიგნის წარმატებით გაყიდვის შემთხვევაში მოგების სოლიდურ ნაწილს ავტორს უნაწილებს.

(2) მეორე გამომცემლობა სულ რამდენიმე წლის წინ დაარსდა. მისი მიზანია ახალგაზრდა ნიჭიერი ავტორების გამოვლენა და ხელშეწყობა. გამომცემლობა სრულ თავისუფლებას აძლევს ავტორებს, არ ზღუდავს მათ, არ ერევა მათ მუშაობაში. საკუთარი გამოცემების პოპულარიზაციისათვის ის აქტიურად იყენებს ადგილობრივ ტელეარხებსა და სხვადასხვაენოვან ვებ-გვერდებს. გამომცემლობა ახალგაზრდა მწერლებს წინასწარ უხდის სოლიდურ ჰონორარს, ხოლო წიგნის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს თავისთვის იტოვებს.

რომელ გამომცემლობას უნდა მიმართოს ახალგაზრდა მწერალმა, თუ მას სურს:

- **დაიმკვიდროს სერიოზული, მაღალი რანგის მწერლის რეპუტაცია.**
- **გაიუმჯობესოს ფინანსური მდგომარეობა.**

ნაწერი არ უნდა იყოს 100 სიტყვაზე ნაკლები.